

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავჯდომარეობის კანდიდატის
ვილი პაჭკორიას

ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

მე, ვილი ვლადიმერის ძე პაჭკორია დავიბადე 1974 წლის 22 სექტემბერს, საშუალო ფენის - ინტელიგენტთა ოჯახში, დედა - ნანული ადანაია, პროფესიით ექიმი-პედიატრი; მამა - ვლადიმერ პაჭკორია, პროფესიით მეღვინე-ტექნოლოგი; ძმა - აკაკი პაჭკორია, პროფესიით ექიმი-ზოგადი ქირურგი. 1991 წელს საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე უმაღლეს სასწავლებელში, კერძოდ „საქართველოს ღია-ჰუმანიტარული უნივერსიტეტი“-ს სამართალმცოდნეობის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1995 წელს - „სამართალმცოდნის,, კვალიფიკაციით; ხოლო პარალელურად 1992 წელს ჩავირიცხე „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ - სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1999 წელს - „ზოგადი პროფილის მკურნალი ექიმის“ კვალიფიკაციით. 2002 წელს სწავლა გავაგრძელე კლინიკურ რეზიდენტურაში - „ზოგადი ონკოლოგია“, რომელიც დავამთავრე 2005 წელს - „ექიმი-ონკოლოგის,, კვალიფიკაციით. პარალელურად 2001-2004 წლებში ვმუშაობდი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე - უფროსი ლაბორანტის თანამდებობაზე, ხოლო 2004-2006 წლებში გავაგრძელე მუშაობა ამავე კათედრაზე ასისტენტის თანამდებობაზე, ხოლო 2006 წლიდან, როდესაც მოვიპოვე სამეცნიერო ხარისხი, გავხდი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი - გათანაბრებული მედიცინის დოქტორის აკადემურ ხარისხთან, ამირჩიეს კლინიკური და ტოპოგრაფიული ანატომიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე - 2015 წლამდე. 2006-2008 წლებში პარალელურად გახლდით თსსუ კლინიკებთან ურთიერთობის სამსახურის კოორდინატორი/მთავარი სპეციალისტი; 2009-2010 წლებში ამირჩიეს საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფესიული კავშირის ვიცეპრეზიდენტად; 2016 -2021 წლებში მუშაობა გავაგრძელე „სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი“-ს მორფოლოგიური დეპარტამენტის სრული (აფილირებული) პროფესორის თანამდებობაზე; 2012 წელს დავაარსე სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კიდმედი“, რომელსაც ვხელმძღვანელობ დღემდე; 2016 წლიდან - დღემდე გახლავართ „საქართველოს კლინიკების ასოციაციის“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი, რომლის ეგიდით საქართველოს პარლამენტში შეტანილი გვაქვს 30-მდე საკანონმდებლო წინადადება, აქტიურად ვმონაწილეობთ ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში. გახლავართ 26 სამეცნიერო ნაშრომისა და პუბლიკაციის ავტორი; თანაავტორი, აქიდან 2 სახელმძღვანელოს ავტორი, სახელწოდებით - „ქირურგიული კვანძები“ და „კლინიკური ანატომიის ატლასი,, ეს უკანასკნელი 2018 წელს წარდგენილი გახლდათ „სახელმწიფო პრემიაზე“. მიღებული მაქვს მრავალი დარგობრივი სერთიფიკატები და სიგელები. 2016 წელს დაჯილდოებული ვარ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ ოქროს მედლითა და მადლობის სიგელით „განსაკუთრებული დამსახურებისთვის“; გახლავართ რეზერვის სამხედრო-სამედიცინო სამსახურის ოფიცერი - უმცროსი ლეიტენანტი; ჩემი მშობლიური ენაა - ქართული, რომელსაც ვფლობ ძალიან კარგად; უცხო ენებიდან ვფლობ რუსულს - კარგად, ხოლო გერმანულს და ინგლისურს საშუალოდ; აგრეთვე კარგად ვფლობ კომპიუტერული მუშაობის უნარებს, როგორცაა: MS Word, MS Windows, MS Excel, Internet User; ვცხოვრობ ქ. თბილისში, მისამართზე: აკ.წერეთლის გამზ. №2/ა (ვ.მაიაკოვსკის ქ.№1, ბ.7) ტ:290-5051, მობ:577-737798; ვამაყობ ჩემი შემოქმედებითად მდიდარი და უმწიკლო წარსულით; ჩემი ჰობია - მეცნიერება, ხელოვნება და მოგზაურობა.